

“დამტკიცებულია”

სსიპ “საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და
სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი“- ს
წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით
(ოქმი N5 30 ოქტომბერი 2015 წ.)

სპორტისა და კულტურის სამსახურის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში -სასწავლო უნივერსიტეტი) სპორტისა და კულტურის სამსახური (შემდგომში სამსახური) წარმოადგენს უნივერსიტეტი დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.
2. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, სასწავლო უნივერსიტეტის დებულებით და წინამდებარე დებულებით.
3. სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის წინაშე, ასრულებს კანონით გათვალისწინებულ და სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მიერ კანონის საუბველზე დაკისრებულ მოვალეობებს.

მუხლი 2. სამსახურის სტრუქტურა და საქმიანობის სფერო

- 1.სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახური უფროსი, რომელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი.
2. სამსახური შედგება სპორტის განყოფილებისა და კულტურის განყოფილებისაგან.
3. თითოეულ განყოფილებაში შედის განყოფილების მტავარი სპეციალისტი.
4. სამსახური ხელმძღვანელობს და ახორციელებს უნივერსიტეტში სპორტისა და კულტურის სფეროსთან დაკავშირებულ საქმიანობას.

მუხლი 3. სამსახურის ფუნქციები

1.სამსახურის ფუნქციებია:

- ა) საუნივერსიტეტო სპორტის განვითარება და მისი პოპულარიზაცია, სპორტული ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება;
- ბ) ნიჭიერი სუდენტების გამოვლენა და მათთვის სხვადასხვა მასშტაბის და ტიპის სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება და ხელშეწყობა;
- გ) სპორტული დარბაზის და ინვენტარის მოწესრიგება;

დ) უნივერსიტეტში კულტურულ-შემოქმედებით საქმიანობის წარმართვა და მისი პოპულარიზაცია, სხვადასხვა სახის კულტურული და შემოქმედებითი ღონისძიებების ორგანიზება;

ე) შემოქმედებითი კონტაქტების დამყარება;

ვ) სტუდენტებისა და პერსონალის შემოქმედებით საქმიანობაში ჩაბმავ ზოვნება;
ზ) აქტიური თანამშრომლობა უნივერსიტეტის სტრუქტურული თვითმმართველობასთან სპორტული და შემოქმედებითი ღონისძიებების დაგეგმვის და განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, აგრეთვე თანამშრომლობა შესაბამის არასაუნივერსიტეტო სტრუქტურებთან;
თ) სხვა ფუნქციების და დავალებების შესრულება კომპეტენციის ფარგლებში.

2. სამსახურის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს სამსახურის საქმიანობას;

ბ) წარმოადგენს სამსახურს დაკისრებული ფუნქციების განხორციელებისას და პასუხისმგებელია სამსახურზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებაზე;

გ) ანაწილებს მოვალეობებს სამსახურის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ მითითებებს და დავალებებს;

დ) ზედამხედველობს სამსახურის თანამშრომლების მიერ თავიანთი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას, ახორციელებს მათ მიერ სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესრულების კონტროლს;

ე) წარუდგენს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს წინადადებებს სამსახურის თანამშრომლების წახალისების და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

ვ) წარადგენს ანგარიშს სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ყოველწლიურად, ან ნებისმიერ დროს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის დავალებით;

ზ) ასრულებს სხვა უფლება-მოვალეობებს საკუთარ კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 4. სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. სამსახურის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

მუხლი 5. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

1. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სამსახურის უფროსის მიერ მომზადებულ ცვლილება-დამატებების პროექტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცების გზით.